

1950

საგარენი განაცხადის
 სამინისტროს ბრძანებების
 და განკარგულებათა

პრეზული

შეღწყადი მინისტრი

№ 2

Сборник приказов и распоряжений
Министерства Просвещения Груз. ССР

1950 წ.

1950

ვ 0 6 5 1 6 6 0

1. ინსტრუქცია — რეაწლიანი და საშუალო სკოლის მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-9 და მე-10 კლასებში გადასაყვანი გამოცდებისა და რეაწლიანი და საშუა- ლო სკოლების მე-8 კლასების დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების შესახებ. 3
2. მთლიანობა — დაწყებითი, რეაწლიანი და საშუალო სკოლის მოსწავ- ლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასებისას წუთბალიანი ციფრობრივი სის- ტემის გამოყენების შესახებ 18
3. Инструкция — о проведении переводных испытаний в IV, V, VI, VII, IX, X классах восьмилетней и средней школы и выпускных экзаменов в 8 классе восьмилетней и средней школы 25
4. Указания — о применении в начальных, восьмилетних и средних школах цифровой пятибалльной системы оценки успеваемости и поведения учащихся 41

დაგრძილებულია

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს მიერ 1950 წლის 14 მარტს გადასრულია

ი ნ ს ტ რ უ ძ ლ ი ა

რჩდლიანი და საშუალო ცეკვის მე-4, მე-5, მე-6, მე-7,
მე-9 და მე-10 კლასებში გადასაყვანი გამოცდებისა და
რჩდლიანი და საშუალო ცეკვის მე-8 კლასების და-
გათავრების გამოცდების ჩატარების შესახებ

I. ზოგადი დაგრძლებანი

§ 1

კლასიდან კლასში გადასაყვანი და დამამთავრებელი გამოცდე-
ბი საქართველოს სსრ ყველა დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო
სკოლაში ტარდება.

§ 2

კლასიდან კლასში გადასაყვანი და დამამთავრებელი გამოც-
დები სახელმწიფო პროგრამების მოთხოვნის შესაბამისად ტარდება
მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების სიმტკიცე-სისრულისა და იმის გამო-
სარკვევად, თუ რამდენად მომზადებულნი არიან მოსწავლენი რვა-
წლიანი და საშუალო სკოლის შედგომს, უფროს კლასში ან საშუა-
ლო სპეციალურ სასწავლებელში წარმატებითი სწავლისათვის.

II. გადასაყვანი გამოცდები

§ 3

გადასაყვან გამოცდებს აბარებენ მე-4, მე-5, მე-6, მე-7 მე-9
და მე-10 კლასების მოსწავლენი, ხოლო 1-ლი, მე-2 და მე-3 კლასის
მოსწავლეთა გადაყვანა ან კურსის განმეორებით გასავლებად იმა-
ვით კლასში დატოვება წლიური ნიშნების მიხედვით ხდება.

შენიშვნა: წლიური ნიშნის გამოყვანის წესის შესახებ
იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითი-
თებანი—„დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მის
წავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასებისას ხუთიათანი
ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ“ (1950 წლის
გამოცდა).

დაგრძილებულია

პირველი, მე-2, მე-3 კლასების მოსწავლეთა გადაყვანა მომდევ—
ნო კლასებში წარმოებს შემდეგი წესით:

პირველი, მე-2, მე-3 კლასების ის მოსწავლენი, რომელთაც ორ
საგანში—დედაენასა და არითმეტიკაში აქვთ „3“-ზე ნაკლები ნიშანი,
დატოვებული უნდა იქნენ იმავე კლასში, ხოლო იმ მოსწავ-
ლებს, რომელთაც დასახელებული საგნებიდან ერთ-ერთში აქვთ
„3“-ზე ნაკლები ნიშანი, უნდა მიეცეთ საზაფხულო დავალება.

საზაფხულო დავალებამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობას
ინდივიდუალური წესით აგრძელებს სათანადო კლასის მასწავლებე-
ლი, 20 მასიდან 20 ივნისამდე. საზაფხულო დავალება უნდა შე-
მოწმდეს 20-დან 25 აგვისტომდე. საზაფხულო დავალების შეუს-
რულებლობის ან ცუდად შესრულების შემთხვევაში მოსწავლე და-
ტოვებულ უნდა იქნეს იმავე კლასში.

§ 5

მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-9 და მე-10 კლასების ის მოსწავლენი,
რომელთაც ორზე მეტ საგანში აქვთ „3“-ზე ნაკლები წლიური ნი-
შანი, გამოცდებზე არ დაიშვებიან და იმავე კლასში ჩებიან.

§ 6

გამოცდებზე დაშვებული ის მოსწავლენი, რომელთაც აქვთ
„3“-ზე დაბალი წლიური ნიშანი ერთ ან ორ საგანში, საგამოცდო
იქნება ეს საგანი, თუ არასაგამოცდო,—გამოცდას ამ საგნებში
შემოდგომაზე აბარებენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე სა-
გაზაფხულო გამოცდაზე დამატებით მიიღებს „3“-ზე ნაკლებ შე-
ფასებას რომელიმე საგანში და ამის შედეგად საბოლოოდ ორზე
მეტ საგანში ექნება „3“-ზე ნაკლები ნიშანი, იგი შედგომ გამოც-
დებზე აღარ დაიშვება და დატოვებული იქნება იმავე კლასში.

შენიშვნა: წერასა და ზეპირში მიღებული ნიშანი ერთ
ნიშნად ითვლება.

§ 7

მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებს,
რომლებმაც მოიპოვეს გამოცდებზე გასვლის უფლება, ოთხივე მე-
ოთხედში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად საგნებში
ჰქონდათ ნიშანი არანაკლები „3“-სა, მაგრამ ავადმყოფობის გამო-

არ შეუძლიათ გამოცხადდნენ გამოცდებზე და ამის შესახებ სკოლის ექიმის ან სათანადო სამკურნალო დაწესებულების დასკვნა აქვთ, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით შეიძლება მთლიანად გადადგომისათვის.

შენიშვნა: ამათვან ის მოსწავლეები, რომლებსაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აქვთ ჯანმრთელობის მხრივ, პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, სკოლის დირექტორის (გამგის) ბრძანებით, შეიძლება გადაყვანილ იქნენ შემდეგ კლასში უგამოცდოდ, საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეუთანხმდეს განათლების განყოფილებას.

§ 8

გადასაყვანი გამოცდები ყველა კლასში იწყება 20 მაისს, მეცადინეობა წყდება 17 მაისს. გამოცდები ჩატარდება შემდეგ სავნებსა და ვადებში:

მე-4 კლასში: მშობლიურ ენაში — წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) — წერითი და ზეპირი, არითმეტიკაში — წერითი და ზეპირი, სულ 6 გამოცდა, მათგან 3 წერითი და 3 ზეპირი — 12 კალენდარული დღე.

მე-5 კლასში: მშობლიურ ენაში — წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) — წერითი და ზეპირი, არითმეტიკაში — წერითი და ზეპირი, სულ 6 გამოცდა, მათგან 3 წერითი და 3 ზეპირი — 12 კალენდარული დღე.

მე-6 კლასში: მშობლიურ ენაში — წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლაში) — წერითი და ზეპირი, არითმეტიკაში — წერითი, ბოტანიკაში, გეოგრაფიაში სულ 7 გამოცდა, მათგან 3 წერითი და 4 ზეპირი — 16 კალენდარული დღე.

მე-7 კლასში: მშობლიურ ენაში — წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) — წერითი და ზეპირი, ალგებრაში — წერითი და ზეპირი, ფიზიკაში — სულ 7 გამოცდა, მათგან 3 წერითი და 4 ზეპირი — 16 კალენდარული დღე.

მე-8 კლასში: მშობლიურ ლიტერატურაში — წერითი და ზეპირი, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) — წერითი და ზეპირი, ალგებრაში წერითი, გეომეტრიაში, ფიზიკაში, დარვინიზმის საფუძვლებში და უცხო ენაში — ზეპირი. სულ 9 გამოცდა, მათგან 3 წერითი და 6 ზეპირი — 25 კალენდარული დღე.

მე-10 კლასში: მშობლიურ ლიტერატურაში — წერითი და ზეპირი; რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) —

ერითო და ხარი, ალგეთიათ — ულისი, გუმურასათ, გუგუ-
ფიაში, მსოფლიო ისტორიაში და უცხო ენაში — ზეპირი, სულ
გამოცდა, მათგან 3 წერითი და 6 ზეპირი — 25 კალენდარული დღე.
შენიშვნა: 1. მე-6 კლასში გამოცდები არითმეტულია
და ბოტანიკაში ტარდება მე-5 და მე-6 კლასების კურსის
ფარგლებში; 2. მე-10 კლასში მსოფლიო ისტორიაში გამოც-
და ტარდება IX და X კლასების კურსის ფარგლებში.

§ 9

თითოეულ გადასაყვან გამოცდას ამ საგნის მასწავლებელი
ატარებს ასისტენტის თანდასწრებით, რომელსაც სკოლის დირექ-
ტორი ნიშნავს იმავე ან მონათესავე საგნის მასწავლებელთაგან,
ასისტენტის შეფასება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნიშ-
ნის დაწერის დროს.

§ 10

ზეპირი გამოცდები ყველა კლასში ტარდება საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბილეთებით,
რომლებიც წინასწარ უნდა გაეცნოს მოსწავლეებს.

მშობლიურ ენასა და რუსულ ენაში გრამატიკული და გასარჩევ
ტექსტებს და მათემატიკაში ამოცანებსა და მაგალითებს ბილეთე-
ბისათვის აღგენს საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის
დირექტორი. ეს დამატებითი მასალა მოსწავლეს მხოლოდ გამო-
ცდის დროს უნდა გაეცნოს.

მოსწავლე გამოძახებისას ბილეთის თვითონ იღებს. თუ მოსწავ-
ლეს არ შეუძლია ბილეთში მოცემულ საკითხებზე პასუხის გაცემა,
— მას ნება ეძლევა მეორე ბილეთი აიღოს, მაგრამ ამ შემთხვე-
ვაში მოსწავლეს ერთი ნიშნით ნაკლები უნდა დაეწეროს. მოსწავ-
ლის ცოდნის უფრო ზუსტიდ გამორჩევის მიზნით მასწავლებელს
და ასისტენტს შეუძლიათ დამატებით კითხვები მისცენ მას. ბილე-
თი, რომელზედაც მოსწავლემ პასუხი გასცა, კლასის ამ ჯგუფში
აღარ უნდა იქნეს გამოყენებული.

შენიშვნა: 1949—50 სასწავლო წელს სომხურ და აზერ-
ბაიჯანულ სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოც-
დებისათვის ბილეთებს აღგენს საგნის მასწავლებელი და გა-
მოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე ამტკიცებს სკოლის
დირექტორი. ბილეთები უნდა იყოს თანაბარი სიძნელისა,
თითოეული ბილეთი უნდა შედგებოდეს სასწავლო პროგრა-

მიდან ალებული ორი-სამი ნათელი, მოსწავლისათვის გასაგები და გარკვევით დაწერილი საკითხისაგან.

თითოეულ საგანში დაახლოებით 25—30 ბილეთი დაგება. ბილეთებში მოცემული საკითხები მთლიანად უნდა ამოსწავლისას ჩავდეს სასწავლო პროგრამას.

§ 11

წერითი სამუშაოს შეადგენს:

ა) ქართულ სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში—მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—მე-4 კლასში გავლილი მასალის ფარგლებში მოქლე შინაარსის გადმოცემა ან მოქმედი პირის თავგადასავალი; მე-5, მე-6 და მე-7 კლასებში—გავლილი ლიტერატურული მასალიდან შინაარსის გადმოცემა, მე-9 და მე-10 კლასებში—მწერლის შემოქმედების დახასიათება ან ცალკე ნაწარმოების გარჩევა;

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში რუსულ სკოლებში მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 კლასებში—შინაარსის გადმოცემა, მე-9 და მე-10 კლასებში—მწერლის შემოქმედების დახასიათება ან ცალკე ნაწარმოების გარჩევა;

გ) რუსულ ენაში ყველა არარუსული სკოლის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 კლასებში — პასუხი კითხვებზე გავლილი მასალიდან, მე-9, მე-10 კლასებში—გავლილი მასალიდან პატარა მოთხრობის შინაარსის გადმოცემა, მასწავლებლის მიერ მოთხრობის წინასწარ წაკითხვით კლასში.

შენიშვნა: თხზულებისათვის მშობლიურ ლიტერატურაში მოსწავლებს ეძლევათ ორი თემა, რომელთაგან მათ უფლება აქვთ ერთ-ერთი აირჩიონ.

§ 12

მათემატიკაში გამოცდისას წერითი სამუშაოს უნდა შეადგენდეს: არითმეტიკაში—მე-4 კლასში ერთი ამოცანა და ერთი მაგალითი, მე-5 და მე-6 კლასებში კი—ერთი ამოცანა და ორი მაგალითი:

მე-7 კლასში—სამი მაგალითი ალგებრაში (ერთი ალგებრულ გამოსახულების რიცხვითი სიდიდის გამოანგარიშებაზე და ორი გრიფურ გარდაქმნებზე); მე-9 და მე-10 კლასებში—ამოცანა და ორი

მაგალითი ალგებრაში. ამოცანები და მაგალითები მოსწავლეებს
ეძლევათ ერთნაირი სიძნელისა, ორ ვარიანტად.

§ 13



თემებს, ამოცანებსა და მაგალითებს მე-4, მე-5, მე-6, მე-7,
მე-9 და მე-10 კლასებისათვის თითოეულ საგანში აღგენს საგნის
მასწავლებელი რამდენიმე ვარიანტად და ამტკიცებს სკოლის დო-
რექტორი.

§ 14

გამოცდებზე მოსწავლეები ყველა წერით სამუშაოს ასრულე-
ბენ სკოლის მიერ წინასწარ მომზადებული ქალალდის ფურცლებზე,
რომელსაც სკოლის შტამპი უნდა ჰქონდეს დასმული.

§ 15

გამოცდები სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრი-
ლით ტარდება. ცხრილი მოსწავლეებს უნდა გაეცნოს 10 დღით
ადრე გამოცდების დაწყებამდე.

ცხრილის შედგენისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული
რომ:

ა) კლასში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი
გამოცდა, წერითი ან ზეპირი;

ბ) თითოეული წერითი გამოცდისათვის გათვალისწინებული
უნდა იქნეს მე-4, მე-5, მე-6, მე-7 კლასებში—არა უმეტეს 2 საათი-
სა, მე-9 და მე-10 კლასებში—არა უმეტეს 4 საათისა.

გ) შესვენება სავალდებულოა თითოეული აკადემიური საათის
შემდეგ მხოლოდ ზეპირი გამოცდების დროს.

§ 16

ერთ საგანში გამოცდა (ზეპირი ან წერითი) კლასში ერთ
დღეს უნდა დამთავრდეს. თუ კლასში 25-ზე მეტი მოსწავლეა, ზე-
პირი გამოცდების ჩატარების დროს კლასი ორად უნდა გიყოს;
კლასის ერთი ნახევარი გამოცდებს აბარებს 9 საათიდან, მეორე
ნახევარი—15 საათიდან.

ზეპირი გამოცდები წარმოებს მთელი კლასის მოსწავლეთა ან
(თუ კლასი გაყოფილია ორ ჯგუფად) მისი ნახევრის თანდას-

წრებით. გამოკითხული მოსწავლე უნდა გავიდეს კლასიდან. ასევე, წერითი გამოცდის ჩატარებისას ის მოსწავლე, რომელმაც სამუშაო შეძსრულა, ვალდებულია გავიდეს კლასიდან.

§ 17

იმ სასწავლო საგნებში, რომლებშიც დადგენილია წერითი და ზეპირი გამოცდები, პირველად წერითი გამოცდები ტარდება, ხოლო ზეპირი გამოცდა მას მის დევს. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები ამ საგანში ზეპირი გამოცდის დაწყებამდე უნდა შეამოწმონ და შეაფასონ. მას წავლებლებმა და ასისტენტებმა და ჩამოარონ სკოლის დირექტორს.

III. მოსაზღვრეთა გადაჭვანის და დაჯილდომის პიროვანი]

§ 18

მოსწავლეთა გადაყვანა შემდეგ კლასებში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში (სიმღერა-მუსიკის, ხატვის და ფიზიკულტურის მომზადების გამოკლებით) საბოლოო ნიშანი „3“-ზე დაპალი არა აქვთ.

გადასაყვან გამოცდებზე მოსწავლის ცოდნის შეფასებას ახდენს სათანადო საგნის მასწავლებელი ასისტენტთან ერთად.

საბოლოო შეფასების (ნიშნის) დადგენა საგანში ხდება მოსწავლის მიერ გამოცდაზე მიღებული შეფასების (ნიშნის) საფუძველზე წლიური შეფასების გათვალისწინებით ამ საგანში. ისეთ შემთხვევაში, როცა გამოცდაზე მოსწავლე „3“-ზე დაბალ შეფასებას მიიღებს, მას არ შეიძლება მუცეუს დადგებითი დასკვნითი შეფასება. საგნის მასწავლებელსა და ასისტენტს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში საბოლოო შეფასების საკითხს წყვეტს სკოლის დირექტორი.

შენიშვნა: ა) არასაგამოცდო საგნებში საბოლოო ნიშნად რჩება წლიური ნიშანი;

ბ) საბოლოო ნიშნის დადგენის წესის შესახებ იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებანი — „დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფიქცევის შეფასებისას ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ“ (1950 წლის გამოცემა).

მოსწავლენი, რომელნიც გადასაყეანი გამოცდების შედეგად მიიღებენ „3“-ზე ნაკლებ ნიშანს ორზე მეტ საგანში, იმავე კლასში უნდა იქნენ დატოვებულნი, ხოლო იმ მოსწავლეებმა, რომელნიც ერთ ან ორ საგანში მიიღებენ „3“-ზე ნაკლებ ნიშანს, უმომდგომაზე უნდა ჩააბარონ განმეორებითი გამოცდები ამ საგნებში.

§ 20

საუკეთესო ყოფაქცევის ის მოსწავლენი, რომელნიც ყველა ძირითად საკანში მიიღებენ საბოლოო ნიშანს „5“-ს, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ჯილდოვდებიან ქების სიგელით.

§ 21

საშემოდგომო გამოცდამიცემული ის მოსწავლე, რომელიც სიცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო გადადის სხვა სკოლაში, უსათუოდ იმ სკოლაში უნდა გამოიტადოს, რომელშიც სწავლობდა. ამის შემდეგ შეუძლია მას გადასცელა სხვა სკოლაში.

IV. საშემოდგომო გამოცდები

§ 22

საშემოდგომო გამოცდები სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით ტარდება 20-დან 25 აგვისტომდე (ჩათვლით).

საშემოდგომო გამოცდები იმავე წესით წარმოებს, რაც გათვალისწინებულია საგაზაფხულო გამოცდებისათვის.

§ 23

მოსწავლეები, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო საშემოდგომო გამოცდაზე არ გამოცხადდებიან ან გამოცდაზე მიიღებენ თუნდაც ერთ საგანში „3“-ზე ნაკლებ ნიშანს, დატოვებული; უნდა იქნენ იმავე კლასში. მოსწავლეთა პირობით გადაყვანა აკრძალულია.

§ 24

საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებს, რომელთა ჩამორჩენა სწავლაში ხაპტით მიზნებით იყო გამოწვეული, სკოლა

უნდა დაეხმაროს საშემოდგომო გამოცდებისათვის მომზადებაში
ჯაგუფური ან ინდივიდუალური მეცალინეობის მოწყობა, კონსულ-
ტაციები და ა. შ.).

§ 25

პედაგოგიური საბჭოს დადგენილება მოსწავლეთა იმავე კლასში
დატოვების ან მათთვის საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის
შესახებ სკოლამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მოსწავლეთა მშობ-
ლებს ან მზრუნველ პირთ წერილობითი სახით. ეს ცნობა შათ
უნდა ჩაბარელეს ხელშერილით.

V. დამამთავრებელი გამოცდები. მე-8 კლასში

§ 26

მე-8 კლასში შეცალინეობა წყდება 17 მაისს, ხოლო გამოცდები
იწყება 20 მაისს.

§ 27

დამამთავრებელ გამოცდებზე არ დაიშვებიან მე-8 კლასების ას
მოსწავლენი, რომელთაც „3“-ზე ნაკლები წლიური ნიშანი აქვთ
ორზე მეტ საგანში; ისინი დატოვებული უნდა იქნენ იმავე კლასში.

§ 28

გამოცდებზე დაშვებული ის მოსწავლენი, რომელთაც „3“-ზე
დაბალი წლიური ნიშანი აქვთ ერთ ან ორ საგანში, მიუხედავად
იმისა საგამოცდო იქნება ეს საგანი თუ არასაგამოცდო, — გამო-
ცდას ამ საგნებში შემოდგომაზე აბარებენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე საგაზაფხულო გამოც-
დაზე დამატებით მიიღებს „3“-ზე ნაკლებ შეფასებას და ამის შე-
დეგად საბოლოოდ ორზე მეტ საგანში ექნება „3“-ზე ნაკლები ნი-
შანი, იგი შემდგომ გამოცდებზე ალარ დაიშვება და დატოვებული
იქნება იმავე კლასში.

შენიშვნა: წერასა და ზეპირში მიღებული ნიშანი ერთ
ნიშანად ითვლება.

§ 29

მე-8 კლასში დამამთავრებელი გამოცდები ტარდება მშობლი-
ურ ენასა და ლიტერატურაში — წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში
(არარუსულ ხელოებში) — წერითი და ზეპირი, ალგებრა-არითმეტი-
კაში — წერითი, გეომეტრიაში, სსრ კივშირისა და საქართველოს

ქონსტატულიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში და ისტორიაში—ზეპი-
რი, სულ 10 გამოცდა, მათგან 3 წერითი და 7 ზეპირი—25 კალენ-
დარული დღე.

რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლის მე-8 კლასების
მოსწავლეები გამოცდას აბარებენ აგრეთვე ქართულ ენაში—
წერითი.

შენიშვნა: ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდა—
სას ერთი შეფასება იწერება.

§ 30.

მე-8 კლასში წერითი გამოცდებს შეადგენს:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში ქართულ სკოლებში—
გავლილი ნაწარმოების მიხედვით მოქმედ პირთა დახასიათება,
ხოლო არაქართულ სკოლებში—გავლილი პატარა მოთხრობების
შინაარსის გადმოცემა, მოთხრობის წინასწარი წაკითხვით კლასში;

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში რუსულ სკოლებში—
გავლილი მასალების შინაარსის გადმოცემა, ხოლო არარუ-
სულ სკოლებში—გავლილი პატარა მოთხრობის შინაარსის გად-
მოცემა, მოთხრობის წინასწარი წაკითხვით კლასში;

გ) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში სომხურ და აზერ-
ბაიჯანულ სკოლებში—გავლილი ნაწარმოების მიხედვით მოქმედ
პირთა დახასიათება;

დ) ალგებრა-არითმეტიკაში—ერთი ამოცანა და ერთი მაგალი-
თ ალგებრილან და ერთი მაგალითი არითმეტიკიდან.

შენიშვნა: 1. საგამოცდო თემას მშობლიურ ენასა და
ლიტერატურაში, ამოცანასა და მაგალითებს მათემატიკაში
ადგენს ქალაქის, რაიონის განათლების განცოდილება და
გამოცდის დღეს აბარებს სკოლებს. ქართულ ენაში—არაქარ-
თულ სკოლებში და რუსულ ენაში არარუსულ სკოლებში.
თემები ადგილზე დგება და მტკიცდება სკოლის დირექტო-
რის მიერ;

2. წერითი გამოცდისათვის მე-8 კლასების მოსწავლეებს
ეძლევათ დღო არაუმეტეს 3 საათისა.

§ 31.

მე-8 კლასის მოსწავლეები განსაკუთრებულ გამონაკლის შემ-
თხვევაში, მძიმე ავადმყოფობის გამო, შეიძლება განთავისუფლებულ
იქნენ გამოსაშვებ გამოცდებისაგან, მხოლოდ საქართველოს სსრ

განათლების სამინისტროს მიერ განათლების განყოფილების შუა-
მდგომლობისა და სამკურნალო დაწესებულების სათანადო დასკვნის
საფუძველზე, თუ მათ სასწავლო წლის ყველა მეოთხედში ძირითად
საგნებში აქვთ შეფასება არა ნაკლებ „3“-სა.

რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა ამ შემთხვევაში
უნდა გაიცეს წლიური შეფასების საფუძველზე.

შენიშვნა: ა) უგამოცდოდ რვა კლასის დამთავრების
მოწმობის გაცემის საკითხის განხილვა ხდება დასაბუთებუ-
ლი შუამდგომლობის საფუძველზე, რასაც თანდართული უნდა
ჰქონდეს სამკურნალო დაწესებულების საექიმო კომისიის
დასკვნა, პედაგოგიური საბჭოს დადგენილება და მოსწავლის
დახასიათება;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში და სამ-
ხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში უგამოცდოდ რვა კლასის
დამთავრების მოწმობის გაცემის საკითხს წყვეტს სათანადო
ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები და ოლქის განათ-
ლების განყოფილების გამგე.

§ 32

რვაწლიანი სკოლის კურსზე მოსწავლეთა დამამთავრებელ გა-
მოცდებს ატარებს კომისია შემადგენლობით: სკოლის
დირექტორი ან სასწავლო ნაწილის გამგე—თავმჯდომარე, საგ-
ნის მასწავლებელი და დირექტორის მიერ დანიშნული ასისტენტი.

შენიშვნა: თუ სკოლის დირექტორი ან სასწავლო ნაწი-
ლის გამგე მე-11 კლასში გამოცდებზე დასწრების გამო დაკა-
ვებულია, მაშინ დირექტორი მე-8 კლასში გამოცდებზე თავ-
მჯდომარედ იმავე სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს ნიშნავს.
მე-8 კლასში საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება
შევიდნენ მხოლოდ ის პირი, რომელთაც განათლება აქვთ არანა-
კლებ სამასწავლებლო ინსტიტუტისა.

თუ სკოლის დირექტორს და მასწავლებელს, რომლის საგან-
შიაც ტარდება გამოცდა, სათანადო განათლება არა აქვთ, საგა-
მოცდო კომისიის შემადგენლობას აწესებს სახალხო განათლების
რაიონული (საქალაქო) განყოფილება.

შენიშვნა: საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეი-
ძლება შევიდნენ ის პირნიც, რომელთაც ატესტაციით მინი-
ჭებული აქვთ საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალუ-
რი წოდება, აგრეთვე მასწავლებლები, რომელნიც დაუსწრე-
ბელი პედაგოგიური ინსტიტუტის III კურსზე არიან გადა-
სულნი.

§ 33



მოსწავლეთა კოდნის შეფასებას გამოსაზებ გამოცდებზე ახ-
დენს საგამოცდო კომისია.

რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობაში შესატანი შეფა-
სების (ნიშნის) დადგენა საგამოცდო საგნებში ხდება საგამოცდო
კომისიის მიერ, გამოცდაზე მიღებული შეფასების საფუძველზე
წლიური შეფასების გათვალისწინებით.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე გამოცდაზე „3“-ზე
ნაკლებ შეფასებას მიიღებს საგანში, მას არ შეიძლება გამოცვანოს.
დადგებითი დასკვნითი შეფასება.

შენიშვნა: 1. კომისიის წევრთა აზრის სხვადასხვაობის
შემთხვევაში საბოლოო შეფასების საკითხი ხმის უმრავლესო-
ბით წყდება. ამასთან, კომისიის წევრის განსაკუთრებული
აზრი, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეტანილი
უნდა იქნეს ოქმში, თუ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
არ ეთანხმება კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრს, საკითხს
საბოლოოდ წყვეტს სარაიონო (საქალაქო) განათლების გან-
ყოფილება;

2. არასაგამოცდო საგნებში საბოლოო ნიშნალ რჩება
წლიური ნიშანი.

§ 34

მოსწავლე, რომელიც გამოცდას ჩააბარებს ყველა საგანში,
ითვლება რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულად და მას სკო-
ლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით ეძლევა რვაწლია-
ნი სკოლის დამთავრების შესახებ მოწმობა, რომელსაც ხელს აწერენ
სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილ-
ში და მასწავლებლები.

§ 35

მოსწავლეები, რომელნიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ
საგნებში მიიღებენ საბოლოო ნიშანს „5“-ს და სამაგალითო ყოფა-
ქცევისანი არიან, ჯილდოვდებიან ქების სიგელით.

მოსწავლეებს, რომლებმაც მიიღეს მოწმობა რვაწლიანი
სკოლის დამთავრების შესახებ და დაჯილდოებული არიან ქების

სიგელით, უფლება აქვთ უგამოცდოდ შევიღნენ სპეციალურ საზუ-
ალო სასწავლებელში და მიიღონ სტიპენდია სასწავლო წლის პირ-
ველ სემესტრში.

გერმანული კუთხით

შენიშვნა: მე-8 კლასის მოსწავლეებს, რომელიც გვ. 34
ში მოხსენებულ პირობებს აქმაყოფილებენ; მაგრამ ყოფაქცე-
ვაში აქვთ „5“-ზე ნაკლები ნიშანი, ეძლევათ მხოლოდ ცნობა
სკოლის დამთავრების შესახებ და არა მოწმობა.

§ 36

გადასაყვანი გამოცდების ორგანიზაციის შესახებ ამ ინსტრუქ-
ციით დაწესებული სათანადო მუხლები ვრცელდება მე-8 კლასის
დამამთავრებელ გამოცდებზედაც.

VII. ანგარიშგვება გამოცდებისათვის

§ 37

კველა წერითი ნამუშევარი, რომელიც მოსწავლეებმა შეასრუ-
ლეს გამოცდებზე, აგრეთვე ბილეთები, რომლებითაც ზეპირი გა-
მოცდები წარმოებდა,—სკოლაში ინახება.

§ 38

გამოცდების ჩამტარებელი მასწავლებელი თავის საგანში გა-
მოცდების დამთავრების დღეს სკოლის დირექტორს ბაბარებს გა-
მოცდების შესახებ გულდასმით და დაწესებული ფორმით შედგენილ
ოქმს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის
ცოდნის შეფასება (იხ. გამოცდის ოქმის ფორმა).

§ 39

გადასაყვანი და დამამთავრებელი გამოცდების საერთო შედე-
გებს საბოლოო სხდომაზე იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

§ 40

გადასაყვანი და დამამთავრებელი გამოცდების შესახებ რაიმე
აღილობრივი ინსტრუქციების გამოცემა აკრძალულია. კარევო-
რიულად აკრძალულია აგრეთვე სკოლის დირექტორებისაგან გამო-
ცდების შესახებ მოთხოვნა რაიმე ცნობების, რომელიც დაწესებუ-
ლი არ არის სტატისტიკური ანგარიშებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

დაწესებითი და საშუალო სკოლების

სამშართველოს უფროხელ—უშ. იბრძაძაბ.

სკოლის დირექტორი

195 წ.

ოქმი

გადასაყვანი გამოცდებისა

(საგანი)

ქალ. _____ რაიონის _____ სკოლის _____

მე _____ კლასში.

1. მასწავლებლის გვარი, სახელი და მამის სახელი _____

2. ასისტენტის გვარი, სახელი და მამის სახელი _____

ს. რიცხვი	მოსწავლის გვარი, სახელი და მამის სახელი წლიური პირანი	გამოცდა წერაში	ზეპირი გამოცდა	საერთო ნიშანი საბოლოო ნიშანი
		თემა ან ამოცანის დასა- ხელება	ნიშანი ბილუსტის ას	ნიშანი საერთო ნიშანი საბოლოო ნიშანი

გამომცდელი მასწავლებელი
ასისტენტი

195 წ.

შენიშვნა: ნიშანი უნდა დაიწეროს ციფრითა და სიტყვებით, ზაგ. „3“ (სამი)
„4“ (ოთხი) და „1.“ შ.

მითითობანი დაზყვანითი, რგაფლიანი და საშუალო სკო-
ლის მოსაზღვრითა ცოდნისა და ყოფაშცევის შეზასმისას
ხუთგალიანი ციფრობრივი ცისტონის გამოყენების შესახებ.

I. ხართო მითითობანი

1. მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასება წარ-
მოებს „სკოლებში მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფა-
სების ხუთგალიანი ციფრობრივი ცისტონის შემოღების შესახებ“
საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წ. 12 იანვრის მინისტრის
საფუძველზე.

2. შეფასება ნიშანი იწერება მთელი რიცხვებით (5, 4, 3,
2, 1). შერეული რიცხვებით (1,5; 2,5; 3,5 და ა. შ.) ან „პლიუსით“
ან „მინუსით“ (\pm) წარმატების გამოხატვა დაუშვებელია.

II. ცოდნის გიგანტური ფიზიკა

3. ცოდნის მიმღინარე შეფასებისას ნიშანი „5“ დაეწერება იმ
მოსწავლეს, რომელიც გამოიჩინს პროგრამით გათვალისწინებული
თემის ან განყოფილების ყველა დეტალის სავსებით შევნებულ,
მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას, მსჯელობს სწორად და შეუც-
დომლად, არ საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას და უშინიშვნე-
ლო ჩარევასაც კი, ლაპარაკობს და წერს გამართული ლიტერატუ-
რული ენით, შესრულებული აქვს ყველა დაწესებული სავარჯიშო
და შესწევს უნარი თავისუფლად გამოიყენოს პრაქტიკულად თავისი
ცოდნა.

4. ნიშანი „4“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელიც გამოიჩინს
პროგრამით გათვალისწინებული თემის ან განყოფილების მტკიცე
და საფუძვლიან ცოდნას, მსჯელობს სწორად და შეუცდომლად,
არ საჭიროებს მასწავლებლას დახმარებას, ლაპარაკობს და წერს
გამართული ლიტერატურული ენით, შესრულებული აქვს დაწესე-
ბულა ძირითადი სავარჯიშოები და შესწევს უნარი გამოიყენოს
თავისი ცოდნა პრაქტიკულად.

5. ნიშანი „3“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელმაც იცის
თემის ან განყოფილების ყველა საჭირო, მაგრამ ზოგიერთ მათგანს
ღრმად არ არის დაუფლებული, ლაპარაკისა და წერის დროს უმ-

კუბს შეცდომებს, მაგრამ არა უხეში ხასიათისას, შესწევს უნარი
მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს, განაგრძოს. სწავლა
და დასძლითს და შეითვისოს პროგრამით გათვალისწინებული
მომდევნო კურსი.

6. ნიშანი „2“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელმაც არ იცის,
პროგრამით გათვალისწინებული თემის ან განყოფილების დიდი
ნაწილი, პასუხს იძლევა მხოლოდ მასწავლებლის მიერ დასმულ
მიმახვდრებელ კითხვებზე და ისიც გულდაუჯერებლად, ლაპარაკისა
და წერის დროს უშებეს უხეშ შეცდომებს და არა აქვს შესრულე-
ბული პრაქტიკული სავარჯიშოების უდიდესი ნაწილი.

7. ნიშანი „1“ დაეწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავ-
ლე პროგრამით, გათვალისწინებული თემის ან განყოფილების
სრულ უკოდინარობას იჩენს.

8. მოსწავლის შეფასება უნდა მოხდეს იმ ცოდნის მიხედვით,
რაც გამოიჩინა ამ გამოკითხვის დროს, მაგრამ მხედველობაში
უნდა იქნეს მიღებული წინა გამოკითხვის დროს დაწერილი ნი-
შანიც.

9. მიმდინარე შეფასების ნიშნები აუკილებლად იწერება საკ-
ლასო ეურნალში და აგრეთვე მასწავლებლის უბის წიგნაკში.

III. ცოდის შეფასება გეოთემდის ბოლოს

10. იმ შემთხვევაში, როდესაც მეოთხედის ბოლოს წარმოებს
მოსწავლის ცოდნის შემოწმება მეოთხედის განმავლობაში გავლილი
მთელი მასალის ფარგლებში, მეოთხედურ შეფასებას საფუძვლად
უნდა დაედოს ის ნიშანი, რაც ამ შემოწმების დროს დაეწერა
მოსწავლეს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ის
ნიშნებიც, რაც მეოთხედის განმავლობაში აქვს მოსწავლეს მიღე-
ბული.

შენიშვნა: მეოთხედის განმავლობაში გავლილი მთელი
მასალის ფარგლებში მოსწავლის გამოკითხვის დროს ნიშნები
იმავე წესით იწერება, როგორც ცოდნის მიმდინარე შეფასე-
ბისას (იხილეთ მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მუხლები).

11. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეთა გამოკითხვა მეოთ-
ხედის განმავლობაში მთელი გავლილი მასალის ფარგლებში არ
წარმოებს, არამედ მეოთხედური ნიშნის დაწერა მიმდინარე შეფა-
სებათა საფუძველზე ხდება,—მეოთხედურ შეფასებას საფუძველად
უნდა დაედოს ის ნიშანი, რაც უკანასკნელად მიიღო მოსწავლემ
და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ის ნიშნებიც,
რაც მოსწავლეს მეოთხედის განმავლობაში აქვს.

IV. ტლიური ნიშანი დაზენის დაზღვის წმინდა

12. ტლიური ნიშანი იწერება ოთხივე მეოთხედური ნიშნების საფუძვლზე.

13. ტლიური ნიშანი „5“ დაიწერება იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც ოთხივე მეოთხედის მეოთხოდური ნიშნების საშუალო არითმეტიკული არის 5 ან 4,5-ზე მეტი;

ბ) როდესაც ოთხივე მეოთხედის ნიშნების საშუალო არითმეტიკული 4,5, მაგრამ მოსწავლეს პირველ და მეორე მეოთხედურზე უფრო დაბალი ნიშნები აქვს, ვიდრე მესამე და მეოთხე მეოთხედებში, ან მეორე და მესამე მეოთხედებში აქვს უფრო დაბალი ნიშნები, ვიდრე პირველსა და მეოთხე მეოთხედებში.

მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც აქვს საგანში შემთხედების მიხედვით „4“, „4“, „5“, „5“, ან „5“, „4“, „4“, „5“, დაეწერება — „5“; მაგრამ იმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს „5“, „5“, „4“, „4“, — დაეწერება — „4“.

14. ტლიური ნიშანი „3“ იმ შემთხვევაში დაიწერება:

ა) როდესაც ოთხივე მეოთხედის საშუალო არითმეტიკული არ არის 3-ზე ნაკლები;

ბ) როდესაც ოთხივე მეოთხედის საშუალო არითმეტიკული არ არის 2,5-ზე ნაკლები და მოსწავლეს მეოთხე მეოთხედში მეოთხედური ნიშანი აქვს არა ნაკლებ „3“-სა.

მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც აქვს საგანში შემთხედების მიხედვით „3“, „2“, „3“, „3“, ანდა „2“, „3“, „2“, „3“, შეიძლება. დაეწეროს „3“, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს აქვს „3“, „3“, „3“, „2“, მას დაეწერება „2“.

15. ყველა დანარჩენ შემთხვევაშიაც ტლიური ნიშნის გამოყვანა უნდა მოხდეს ოთხივე მეოთხედის ნიშნების საშუალო არითმეტიკულის საფუძვლზე და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული უკანასკნელი მეოთხედის ნიშანი. ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს უკანასკნელ ორ მეოთხედში უფრო კარგი ნიშნები აქვს, ვიდრე პირველ და მეორე მეოთხედებში, უნდა დაიწეროს უფრო მაღალი ნიშანი.

მაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც საგანში შემთხედების მიხედვით აქვს „3“, „3“, „4“, „4“, — შეიძლება დაეწეროს „4“, მაგრამ იმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს „4“, „4“, „3“, „3“ — დაეწერება — „3“.

Վ. ԵԱԶԿԸՐԸ ԵՌԵՑՈՒ ՃԱՂՑԵՐԵ ՔԵԽՈՉՈ ՃԱ ՀՅՅՈՒՈ ԵՌԵՑՈՒ
ԵԱՑՄՎՅՈՒՑԵ

16. ՑՑՈՒՑԼՈՒՐ ԵԲԱՍԱ ԸՆ ԸՆԻՐՀԱՑՄՈՒՐԻ ԸՆ ԵՐՐԵՄՅԵՐ ԸՆ
ԵՆԱՑԻ ԱՌԱԽՈՍՄՅՈՒԼ ՏԿՈԼԵՑՑԻ ԸՆ ՎԱՐԴՈՒԼ ԵՆԱՑԻ ԱՌԱՋԱՌՈՒՄՅՈՒԼ
ՏԿՈԼԵՑՑԻ ԸՆԱՑՄՈՒՐԵՑՑԵԼՈ ԸՆ ԿԼԱՏՈՒՐԱՆ ԿԼԱՏՈՒՐԻ ԳԱԾԱՏԱԿՅԱՆ
ՑԱՑՄՈՒԾՈՒՆ ԾՐՈՒՆ:

ա) ՏԱԵՐԻՉՈ ՆԻՇԱՆԻ „3“ ԹՈՍՑԱՑԼԵՍ ԵՇԵՐԵԲԱ ՕՄ ՑԵՑԵՑԵՅԵՐԱՑԻ,
ԷՌՈՋԵՏԱԿ ՖԵՐԱՑԻՈՒ ԸՆ ՑԵՑՈՒՐԻՑԻՈՒ ԿԱԼ-ԿԱԼԿ ՕՋԵՍ ՆԻՇԱՆԻ ԱՌԱ
ԽԱՋԼԵՑ „3“-ՆԱ. ՖԵՐԱՑԻ „2“ ՑԵՐԵԿ ԹՈՍՑԱՑԼԵՍ, ԻՆԿ ՇՆԴԱ ՑԱԼԱԼՈ
ՆԻՇԱՆԻ ՑԵՐԵԿՆԵՑ ՑԵՑՈՒՐԻՑԻ, ԱՌ ՑԵՈԾԼԵԲԱ ԸՆԵՇԵՐԻՌՈՒ ՏԱԵՐԻՉՈ ՆԻՇԱՆԻ
„3“, ՏԵՋԵ ՑԵՑՈՒՐԻՑԻ „2“ ՑԵՐԵԿ ԹՈՍՑԱՑԼԵՍ, ԻՆ ՑԱԼԱԼՈ ՆԻՇԱՆԻՈՒ
ԱՌ ՇՆԴԱ ՑԵՐԵԿՆԵՑ ՑԱՏ ՖԵՐԱՑԻ, ԱՌ ՑԵՈԾԼԵԲԱ ԸՆԵՇԵՐԻՌՈՒ „3“—ՏԵՋԵ
ՑԵՑԵՑԵՅԵՑՑԵՑԻ ԹՈՍՑԱՑԼԵՍ ԵՇԵՐԵԲԱ „2“.

թ) ՏԱԵՐԻՉՈ ՆԻՇԱՆԻ „4“ ԹՈՍՑԱՑԼԵՍ ԵՇԵՐԵԲԱ ՕՄ ՑԵՑԵՑԵՅԵՐԱՑԻ,
ԷՌՈՋԵՏԱԿ ՖԵՐԱՑԻՈՒ ԸՆ ՑԵՑՈՒՐԻՑԻՈՒ ԿԱԼ-ԿԱԼԿ ՕՋԵՍ ՆԻՇԱՆԻ ԱՌԱ
ԽԱՋԼԵՑ „4“-ՆԱ ԱՆ ՖԵՐԱՑԻ ՕՋԵՍ „3“, ԵՌԼՈՒ ՑԵՑՈՒՐԻՑԻ—„5“, ԱՆ
ՑՈՒՐՈՎՈՒ—ՑԵՑՈՒՐԻՑԻ ՕՋԵՍ „3“, ԵՌԼՈՒ ՖԵՐԱՑԻ—„5“.

ը) ՏԱԵՐԻՉՈ ՆԻՇԱՆԻ „5“ ԹՈՍՑԱՑԼԵՍ ՑԵՌԼՈՌ ՕՄ ՑԵՑԵՑԵՅԵՐԱՑԻ
ԵՇԵՐԵԲԱ, ԾՇ ՖԵՐԱՑԻՈՒ ԸՆ ՑԵՑՈՒՐԻՑԻՈՒ ԿԱԼ-ԿԱԼԿ ՕՋԵՍ „5“. ԹՈՏ-
ՑԱՑԼԵՍ, ԷՌՄԵԼՍԱԿ ՖԵՐԱՑԻ „5“ ՕՋԵՍ ԸՆ ՑԵՑՈՒՐԻՑԻ „4“, ԱՆ ՑԵ-
ՑՈՒՐԻՑԻ „5“ ՕՋԵՍ, ԵՌԼՈՒ ՖԵՐԱՑԻ „4“, —ՏԱԵՐԻՉՈ ՆԻՇԱՆԸ „4“ ՑԵՇ-
ԻՐԵԲԱ.

17. ԱՌՈՇՄԵՐՈՎՐԱՑԻ, ԱԼԳԵՑԲՐԱՑԻ, ՑԵՐԵՐԵՐՈՎՈՎՈ-
ՎԵՐԻՌՈՎՈՎՈ ԸՆԱՑՄՈՒՐԵՑՑԵԼՈ ԸՆ ԿԼԱՏՈՒՐԱՆ ԿԼԱՏՈՒՐԻ ԳԱԾԱՏԱԿՅԱՆ ՑԱ-
ՑՄՈՒԾՈՒՆ ԾՐՈՒՆ:

ա) ՏԱԵՐԻՉՈՆԻՇԱՆԻ „3“ ԹՈՏՑԱՑԼԵՍ ԵՇԵՐԵԲԱ ՕՄ ՑԵՑԵՑԵՅԵՐԱՑԻ, ԷՌ-
ՋԵՏԱԿ ՑԱՏ ՖԵՐԱՑԻՈՒ ԸՆ ՑԵՑՈՒՐԻՑԻՈՒ ԿԱԼ-ԿԱԼԿ ՕՋԵՍ ՆԻՇԱՆԻ „3“, ԱՆ
ՖԵՐԱՑԻ ՕՋԵՍ „2“, ԵՌԼՈՒ ՑԵՑՈՒՐԻՑԻ ՕՋԵՍ „3“-ՑԵ ՑԱԼԱԼՈ ՆԻՇԱՆԻ ԸՆ ՑՈ-
ՐՈՎՈՎՈՒ—ՑԵՑՈՒՐԻՑԻ ՕՋԵՍ „2“, ԵՌԼՈՒ ՖԵՐԱՑԻ—„3“-ՑԵ ՑԱԼԱԼՈ ՆԻՇԱՆԻ.

թ) ՆԻՇԱՆԻ „4“ ԹՈՏՑԱՑԼԵՍ ԵՇԵՐԵԲԱ ՕՄ ՑԵՑԵՑԵՅԵՐԱՑԻ, ԷՌՋԵՏԱԿ
ՑԱՏ ՖԵՐԱՑԻՈՒ ԸՆ ՑԵՑՈՒՐԻՑԻՈՒ ԿԱԼ-ԿԱԼԿ ՕՋԵՍ ՆԻՇԱՆԻ „4“, ԱՆ ՑԵ-
ՑՈՒՐԻՑԻ ՕՋԵՍ „3“, ԵՌԼՈՒ ՖԵՐԱՑԻ—„4“, ԱՆ ՑՈՒՐՈՎՈՒ, ՑԵՑՈՒՐԻՑԻ
ՕՋԵՍ „4“, ԵՌԼՈՒ ՖԵՐԱՑԻ—„3“.

ը) ՆԻՇԱՆԻ „5“ ԹՈՏՑԱՑԼԵՍ ԵՇԵՐԵԲԱ ՕՄ ՑԵՑԵՑԵՅԵՐԱՑԻ, ԷՌՋԵՏԱԿ
ՑԱՏ ՖԵՐԱՑԻՈՒ ԸՆ ՑԵՑՈՒՐԻՑԻՈՒ ԿԱԼ-ԿԱԼԿ ՕՋԵՍ ՆԻՇԱՆԻ „5“, ԱՆ ՖԵ-
ՐԱՑԻ ՕՋԵՍ „4“, ՑԱՑԻՐ ՑԵՑՈՒՐԻՑԻ—„5“, ԱՆ ՑՈՒՐՈՎՈՒ—ՑԵՑՈՒՐԻՑԻ ՕՋԵՍ
„4“, ԵՌԼՈՒ ՖԵՐԱՑԻ—„5“.

შენიშვნა: სიმწიფის ატესტატზე გამოცდის ჩაბარებისას საერთო ნაშანი „5“ ან „4“ იმ შემთხვევაში იწერება, როდესაც მოსწავლეს როგორც წერაში, ასევე ზეპირზე აქვს შესაბამისად „5“ ან „4“.

VI. საბოლოო ნიშის დადგენი ულიური და საგამოცდო ნიშნების საცდებელი

18. რვა კლასის და საშუალო სკოლის კურსის დამთავრებისას, ძგრეთვი კლასიდან კლასში გადაყვანის დროს, იმ საგნებში, რომელიც საგამოცდო, მოსწავლეს საბოლოო ნიშანი ეწერება საგამოცდო ნიშნის საფუძველზე წლიური ნიშნის გათვალისწინებით. არასაგამოცდო საგნებში საბოლოო ნიშნად წლიური ნიშანი რჩება. იმ მოსწავლეს, რომელიც გამოცდაზე საგანში „3“-ზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს, საბოლოო შეფასებად არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაეწეროს.

შაგალითად: მოსწავლეს, რომელსაც წლიურ ნიშნად „4“ აქვს, მაგრამ გამოცდაზე მიიღო „2“, — ეწერება „2“.

19. წლიური და საგამოცდო ნიშნების შეფასებად ჭარბობს შემდეგი წესი:

ა) იმ შემთხვევებში, როდესაც გამოცდაზე მიღებული ნიშანი იგივეა, რაც წლიური ნიშანი ან გამოცდაზე მიღებული ნიშანი ერთი ერთეულით მეტია წლიურ ნიშანზე, მოსწავლეს საბოლოოდ ეწერება გამოცდაზე მიღებული ნიშანი.

შაგალითად: იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი არის „4“ და საგამოცდო ნიშანიც „4“, აგრეთვე იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი არის „3“, ხოლო საგამოცდო ნიშანი „4“, საბოლოო ნიშნად „4“ დაეწერება.

ბ) იმ შემთხვევებში, როდესაც გამოცდაზე მიღებული ნიშანი მეტია წლიურ ნიშანზე ან წლიური ნიშანი მეტია საგამოცდო ნიშანზე და წლიური და საგამოცდო ნიშნების ჯამი იყოფა ორზე, მოსწავლეს საბოლოო ნიშნად ეს საშუალო ნიშანი ეწერება.

შაგალითად: იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი არის „3“, ხოლო საგამოცდო ნიშანი „5“, ანდა. პირიქით, წლიური ნიშანი არის „5“ ხოლო საგამოცდო ნიშანი „3“, საბოლოო ნიშნად დაეწერება „4“.

გ) იმ მოსწავლეს, რომელიც საშემოდგომო გამოცდაზე მიიღებს „5“ საბოლოო ნიშნად „4“ დაეწერება, ხოლო იმ მოსწავლეს, რომელიც მიიღებს „3“ საბოლოო ნიშნად „3“ დაეწერება.

VII. უოფარცხვის შეზახება

20. ნიშანი „5“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელიც სკოლა-
სა და სკოლის გარეთ ზუსტად იცავს მოსწავლის ყოფაქცევის წე-
სებით გათვალისწინებულ უცელა მუხლს.

21. ნიშანი „4“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელმაც ზუსტად
არ დაიცვა ყოფაქცევის წესები და მნიშვნელოვნები დაარღვია იგი.

22. ნიშანი „3“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელიც არღვის
წესებს და გამოიჩინა მოსწავლის ლირსების შემლახავი საქციელი.

23. ნიშანი „2“ დაეწერება იმ მოსწავლეს, რომელმაც უხეშად
დაარღვია წესები, ჩაიდინა მოსწავლისათვის ყოვლად შეუფერებე-
ლი მოქმედება და გაირიცხება სკოლიდან.

24. ნიშანი „4“ შეიძლება პერნდეს მოსწავლეს მხოლოდ ერთ
მეოთხედში, თუ ამ ნიშნის მქონე მოსწავლე მისთვის მიცემულ გა-
დაში არ გამოსწორდება, პედაგოგიური საბჭო იხილავს საკითხს
ამ მოსწავლის ნიშნის შემდგომი დაკლების შესახებ.

ნიშანი „3“ წარმოადგენს მოსწავლის გაფრთხილებას, რომ ის
გაირიცხება სკოლიდან. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს
ყოფაქცევაში აქვს ეს ნიშანი და დაწესებულ ვადაში არ გამოს-
წორდება, მისი საკითხი სკოლიდან გარიცხის, თუ პირობითი
ვადის განახლების შესახებ, განიხილება პედაგოგიურ საბჭოს
სხდომაში.

25. სკოლის დამთავრების ატესტატი და მოწმობა მიეცემა
მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელსაც ყოფაქცევაში აქვს ნიშანი „5“.
ეს ნიშანი უნდა ჩაიწეროს ატესტატსა და მოწმობაში შემდეგი
სახით: ყოფაქცევაში — „5“ (წარჩინებული).

საქართველოს ხერ განათლების ხაზინისტროს
დაწუებითი და ხაშუალო სკოლების

ხამართველოს უფროხი უ. ობოლაძე



УТВЕРЖДЕНО

Министерством просвещения
Грузинской ССР

14 марта 1950 г.

ИНСТРУКЦИЯ

о ПРОВЕДЕНИИ ПЕРЕВОДНЫХ ИСПЫТАНИЙ В IV, V, VI,
VII, IX, X КЛАССАХ ВОСЬМИЛЕТНЕЙ И СРЕДНЕЙ ШКОЛЫ
и выпускных экзаменов в 8 классе восьмилетней и средней школы.

1. Общие положения

Переводные испытания и выпускные экзамены проводятся во всех начальных, восьмилетних и средних школах Грузинской ССР.

§ 2

В соответствии с требованиями государственной программы, переводные испытания и выпускные экзамены проводятся с целью определения прочности и полноты знаний и навыков учащихся, а также подготовленности их для успешного обучения в следующих старших классах или в специальном учебном заведении.

II. Переводные испытания

§ 3

Переводные испытания сдают учащиеся IV, V, VI, VII, IX и X классов; перевод или оставление в том же классе на повторительный курс учащихся I, II, III классов производится на основе годовых отметок.

Примечание: О порядке установления годовых отметок см. указания Министерства просвещения Грузин-

ской ССР „О применении в начальных, восьмилетних и средних школах пятибалльной системы оценки успеваемости и поведения учащихся“ (изд. 1950 года).

§ 4

Перевод в последующие классы учащихся I, II и III классов производится в следующем порядке:

Учащиеся I, II и III классов, которые по двум предметам—родному языку и арифметике имеют отметку ниже „3“, оставляются в тех же классах, а учащимся, имеющим отметку ниже „3“ по одному из указанных предметов, дается летнее задание.

С учащимися, получившими летние задания, работу в индивидуальном порядке продолжает преподаватель соответствующего класса, с 20 мая по 20 июня.

Летние задания должны быть проверены с 20 по 25 августа. В случае невыполнения или плохого выполнения летних заданий, учащиеся оставляются на второй год в том же классе.

§ 5

Учащиеся IV, V, VI, VII, IX и X классов, имеющие годовую отметку ниже „3“ больше чем по двум предметам, к испытаниям не допускаются и оставляются в том же классе.

§ 6

Учащиеся, допущенные к испытаниям и имеющие годовую отметку ниже „3“ по одному или двум предметам, независимо от того, являются или нет эти предметы испытательными, экзамены по этим предметам сдаются осенью.

В том случае, если учащийся на весенних испытаниях дополнительно получит ниже „3“ по какому-либо предмету и в результате этого будет иметь отметку ниже „3“ более чем по двум предметам, к дальнейшим испытаниям не допускается и оставляется в том же классе.

Примечание: Оценка по устному и письменному счи-тается за одну отметку.

§ 7

Учащимся IV, V, VI, VII, VIII, IX и X классов, получившим право сдачи экзаменов, имеющим по всем основным пред-

метам учебного плана во всех четырех четвертях отметки не ниже „3“, но по болезни не имеющим возможности явиться на испытания и имеющим об этом заключение школьного врача или соответствующего лечебного учреждения, по постановлению педагогического совета, экзамены могут быть перенесены на осень.

Примечание: Из них учащиеся с особенно-тяжелым состоянием здоровья, на основе постановления педагогического совета, по приказу директора школы могут быть переведены в следующий класс без экзаменов. Вопрос в каждом отдельном случае должен быть согласован с отделом народного образования.

58

Переводные испытания во всех классах начинаются с 20 мая. Испытания проводятся по следующим предметам и в следующие сроки:

